უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში

2023

წლის ანგარიში

TDI

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

ანგარიში მომზადდა **ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI)** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

TDI
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ანგარიშზე მუშაობდნენ:

საბა სუთიძე, ნინო თეთრაული, მარიამ ღავთაძე

პროექტის ხელმძღვანელი:

მარიამ ღავთაძე

დიზაინი:

ელენე მინდიაშვილი

© 2024, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

	შესავალი	4
1.	სახელმწიფო საზღვრის კვეთის პოლიტიკა	5
2.	ბინადრობის ნებართვის მიღების საკითხი	7
	ინდოეთის მოქალაქის ბინადრობის საქმე	9
	ფერეიდნელი ქართველების ბინადრობის ნებართვის პრობლემა	9
3.	სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა	11
4.	რასობრივი დისკრიმინაცია	12
	4.1. რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა	12
	4.2. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე	14
	4.3. რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევები	14

შესავალი

ანგარიში ასახავს 2023 წელს საქართველოში უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებულ ძირითად ტენდენციებსა და სახელმწიფო პოლიტიკის და პრაქტიკის ანალიზს. ანგარიშის შედეგები ცხადყოფს, რომ ძირითადი პრობლემური საკითხები, რომლებზეც TDI წინა ანგარიშებშიც მიუთითებდა, კვლავ გადაუჭრელია და სახელმწიფო ხშირად დისკრიმინაციულ მიდგომას ირჩევს სხვადასხვა წარმოშობის, განსაკუთრებით კი აფრიკელ და აზიელ მიგრანტებთან მიმართებით.

საქართველოში მცხოვრები ადამიანები აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან, წინა წლების მსგავსად, კვლავ საუბრობენ მათდამი განსხვავებულ მოპყრობაზე საჯარო თუ კერძო ურთიერთობებში. ისინი ისევ აწყდებიან ბინადრობის ნებართვებზე დისკრიმინაციულ, დაუსაბუთებელი უარის პრაქტიკას, ისევ პრობლემურია საქართველოს საზღვრის კვეთის მცდელობისას დაუსაბუთებელი უარისა და რასობრივი გამორჩევის შემთხვევები. მიგრანტები რასისტულ განწყობებს ასევე აწყდებიან სხვადასხვა საჯარო და კერძო სივრცეში, ბინის დაქირავებისას, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაღაზიაში ყოფნისას, ქუჩაში გადაადგილებისას და სხვა ყოფით სიტუაციებში.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების თვალსაზრისით, მთავარი დაბრკოლება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების გაუმჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა იყო. წინა წლის მსგავსად, უწყებებმა დაბალი დონის ანგარიშვალდებულება გამოავლინეს და საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, საერთო ჯამში, არაჯეროვნად შეასრულეს. ამ ანგარიშის მიზნებისთვის ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა სათანადო სტატისტიკური მონაცემები ბინადრობის ნებართვის გაცემისა და საქართველოს საზღვრის კვეთის შესახებ, რომლებშიც მოცემული იქნება ინფორმაცია განმცხადებლების მოქალაქეობის, უარის საფუძვლებისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. არაერთი მცდელობის მიუხედავად, TDI-მ ვერ მიიღო კანონით განსაზღვრული სრულყოფილი ინფორმაცია პასუხისმგებელი საჯარო უწყებებიდან, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ანგარიშის საბოლოო მიგნებები.

1. სახელმწიფო საზღვრის კვეთის პოლიტიკა

სახელმწიფო საზღვრის კვეთის მართვის პრაქტიკის კანონიერების შესაფასებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის ფლობას. სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა 2023 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ არასრულყოფილია. საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით სრულფასოვანი ბაზების არარსებობის პრობლემურობაზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველიც.[1]

TDI დაინტერესდა, თუ რამდენ უცხოელს და რომელი სახელმწიფოების მოქალაქეებს ეთქვათ უარი საქართველოში შემოსვლაზე და რა საფუძვლით. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ინფორმაციის მოწოდებაზე ფაქტობრივად უარი განაცხადა. მან გვაცნობა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირების შესახებ, განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე,[2] სადაც შესაბამისი პერიოდულობით ქვეყნდება ზემოაღნიშნული მონაცემები." მაგრამ, ამ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემები არ მოიცავს არც საქართველოში არშემოშვებული უცხოელი პირების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას და, მით უმეტეს, არც მათი მოქალაქეობისა და არშემოშვების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ მითითებას.[3]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წელს საქართველოში 4 138 882 უცხო ქვეყნის მოქალაქე შემოვიდა, ხოლო 22 904 უცხოელს შეეზღუდა საქართველოში შემოსვლა, თუმცა სამინისტრო არ ასაჯაროებს მონაცემებს უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.[4]

1 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2023. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2023 წელი". https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf გვ.332

2 საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები https://info.police.ge/page?id=94

3 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 26 იანვრის MIA 4 24 00237353 წერილი.

4 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. 2023. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2023 წელი". https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf გვ.332.

გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს საზღვრის კვეთაზე უარის თქმის მიზეზად, ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტებისა და დაკონკრეტ-ების გარეშე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტს უთითებს, რომლის თანახმადაც, უცხოელს საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა, ამავე პუნქტ-ში ჩამოთვლილი შემთხვევებისაგან განსხვავებულ შემთხვევებში. აღნიშნული ნორმის გამოყე-ნება მიუთითებს სახელმწიფოს გაუმჭვირვალე პრაქტიკაზე, როგორც კანონის განმარტების, ისე გადაწყვეტილების დასაბუთებულობის თვალსაზრისით.[5]

5 უფრო ვრცლად იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ანგარიში „უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა და რასიზმი საქართველოში, 2022”. გვ.13-14. https://tdi.ge/sites/default/files/tdi_ucxoelta_uplebrivi_mdgomareoba_da_rasizmi_sakartveloshi_2022_angarishi.pdf
შედარებისთვის ასევე იხ. საქართველოს სახალხო
დამცველის ანგარიში. 2023. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2023 წელი“. https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf გვ.332.

2. ბინადრობის ნებართვის მიღების საკითხი

ბინადრობის ნებართვების გაცემის ტენდენციის შეფასება მნიშვნელოვნად გართულდა, რადგან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“) სრულყოფილი ინფორმაცია არ მიაწოდა TDI-ს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა TDI-ს მიერ ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებს, ინდივიდუალურ ინტერვიუებსა და ანგარიშში განხილულ საქმეებს. აღნიშნულის გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის გამოცხადების პრაქტიკა, რასაც საფუძვლად, თითქმის ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა უდევს.

2023 წლის განმავლობაში ბინადრობის ნებართვის მოთხოვნასა და გაცემასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად TDI-მ მიმართა სააგენტოს.[6] კერძოდ, გამოთხოვილი ინფორმაცია მოიცავდა მონაცემებს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით შესული განცხადებების, დაკმაყოფილებული განცხადებებისა და განცხადების დაკმაყოფილებაზე სახელმწიფოს მხრიდან გაცემული უარის რაოდენობის შესახებ, შესაბამისი მოქალაქეობის მითითებით. ასევე თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის შემთხვევებიდან, რამდენი იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის/რეკომენდაციის საფუძველზე (უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის “ა” და/ან “გ” ქვეპუნქტების საფუძველზე). წერილის პასუხად, სააგენტომ TDI-ს არასრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდა.[7] კერძოდ, სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიცავდა შემდეგ საკითხებს:

- რომელი ქვეყნის რამდენმა მოქალაქემ მიმართა სახელმწიფოს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით;
- თითოეული ქვეყნის შემთხვევაში, რამდენი განაცხადი დაკმაყოფილდა;
- თითოეული ქვეყნის შემთხვევაში, რამდენ განმცხადებელს ეთქვა უარი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; მათ შორის, თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის შემთხვევებიდან, რამდენი იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის/რეკომენდაციის საფუძველზე (უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის “ა” და/ან “გ” ქვეპუნქტების საფუძველზე);

6 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2024 წლის 22 იანვრის N898/01/2024 წერილი

7 სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 15 თებერვლის N 01/35393 წერილი.

- საქმეში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის/რეკომენდაციის მიუხედავად (უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე), რამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაიცა ბინადრობის ნებართვა.

ამასთან, სააგენტოს საპასუხო წერილში არ იყო განმარტებული, თუ რატომ გასცა მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი.

ამის გამო, TDI-მ სააგენტოს დამატებით მიმართა[8] და მოითხოვა ზემოაღნიშნული ინფორმაცია, თუმცა, TDI-ს სააგენტოსგან არავითარი პასუხი არ მიუღია.

TDI წლების განმავლობაში სწავლობს სახელმწიფო პოლიტიკას მიგრანტების, განსაკუთრებით კი, აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ. სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ განსაკუთრებით 2015 წლიდან ხელისუფლებას აქვს შერჩევითი და დისკრიმინაციული დამოკიდებულება ამ ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემაზე, რაც, შესაძლოა, სისტემურ რასიზმზეც მიანიშნებდეს.[9]

როგორც 2012-2017 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ადასტურებდა, ყველაზე ხშირად, ბინადრობის ნებართვის მიღებაზე საქართველოში უარს იღებდნენ წარმოშობით ნიგერიელი, კამერუნელი, ეგვიპტელი, ინდოელი, ბანგლადეშელი და პაკისტანელი განმცხადებლები. უარი, უმეტეს შემთხვევაში, ეფუძნებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფით დასკვნას. შედარებისთვის, ამავე პერიოდში ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა ნიგერიელ განმცხადებელთა 26%-ს, ეგვიპტელების – 37%-ს, ხოლო რუსების – 6.2%-ს.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, TDI-მ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან ვერ მიიღო 2023 წლის სტატისტიკური მონაცემები ბინადრობის ნებართვების მისაღებად წარდგენილი განცხადებების, მათ დაკმაყოფილებაზე უარისა და უარის საფუძვლების შესახებ განმცხადებელთა მოქალაქეობის ქვეყნების (მათ შორის, აფრიკისა და აზიის ქვეყნების) მიხედვით. შესაბამისად, რადგან ამ საკითხზე საჯარო ინფორმაციის მიღება საგრძნობლად გაუმჭვირვალე გახდა, TDI მოკლებულია შესაძლებლობას, სრულფასოვნად შეაფასოს სახელმწიფოს პოლიტიკა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, მათ შორის, სავარაუდო სისტემური რასიზმის დინამიკა.

თუმცა, TDI მუდმივად იკვლევს და აკვირდება საქართველოში მცხოვრები მიგრანტების უფლებრივ მდგომარეობას, აგრეთვე უწევს მათ სამართლებრივ დახმარებას. რასობრივი დისკრიმინაციის კვლევის მიზნით, TDI-მ 2024 წლის იანვარ-მარტში ჩაატარა 2 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა და ინდივიდუალური ინტერვიუ 20-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქესთან. ხსენებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების დროს აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა კვლავ დისკრიმინაციულია და ისინი ხშირად დაუსაბუთებელ უარს იღებენ ბინადრობის ნებართვაზე, მათი საქართველოში ცხოვრების სახელმწიფო

8 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2024 წლის 28 თებერვლის N980/02/2024 წერილი.

9 ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI). 2019. „რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია. უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში". https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobrivi_diskriminacia_ucxoelebis_uplebebi.pdf

უსაფრთხოების ინტერესებთან შეუთავსებლობაზე შაბლონური მითითებით. მათ შორის არიან უცხოელი სტუდენტებიც, რომლებსაც დაბრკოლება ექმნებათ სწავლის გაგრძელებაში. 2023 წელს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე იმავე საფუძვლით ეთქვა უარი ინდოეთის მოქალაქეს, რომელსაც იურიდიულ დახმარებას TDI უწევდა (ვრცლად იხ. ქვემოთ). ყოველივე აღნიშნული, გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარის გამოცხადების პრაქტიკა, რასაც საფუძვლად, თითქმის ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნა უდევს, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილად მოწოდების ფაქტი კი აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს.

ინდოეთის მოქალაქის ბინადრობის საქმე

მაგალითისთვის, საანგარიშო პერიოდში TDI სამართლებრივ დახმარებას უწევდა ინდოეთის მოქალაქეს, რომელიც სამედიცინო განათლების ბოლო საფეხურის დამამთავრებელ ეტაპზე იყო და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ლიცენზიის აღებას (სალიცენზიო გამოცდის ჩაბარებას) აპირებდა. იგი საქართველოში 2008 წლიდან ცხოვრობდა და 2015 წლიდან მუდმივ ბინადრობის ნებართვას ფლობდა. 2023 წელს სახელმწიფომ მას მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაუუქმა და ახალი შრომითი ბინადრობის ნებართვის მიღებაზეც უარი უთხრა. მიზეზად, ტრადიციულად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნა დასახელდა (რომლის მიხედვითაც, პირის საქართველოში ცხოვრება საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებს).

ბინადრობის ნებართვის მოულოდნელი გაუქმების შედეგად, აღნიშნულ პირს ადგებოდა გამოუსწორებელი ზიანი, რადგან ის ვეღარ შეძლებდა წლების განმავლებოში მიღებული განათლების დასრულებას და სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო გამოცდის ჩაბარებას. შესაბამისად, TDI-მ გაასაჩივრა როგორც შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი, ისე მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება და დროებითი ღონისძიების სახით, საქმის დასრულებამდე, სადავო გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება და მუდმივი ბინადრობის ნებართვის აღდგენა მოითხოვა. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლომ დააკმაყოფილა, რის შედეგადაც მოსარჩელემ გამოცდის წარმატებით ჩაბარება და სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მიღება შეძლო.

ფერეიდნელი ქართველების ბინადრობის ნებართვის პრობლემა

2023 წელს ბინადრობის ნებართვის და თანამემამულის სტატუსის[10] მიღების პრობლემა შეექმნათ ფერეიდნელ ქართველებსაც[11]. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მასობრივად დაიწყო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა იმ ფერეიდნელებისთვის, რომლებსაც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება და ცხოვრება სურთ. არსებული ინფორმაციით, რამდენიმე ათეული პირი არის დარჩენილი შესაბამისი სტატუსის გარეშე. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო უარის მიზეზად უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე

10 უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი ენიჭება საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში; ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ-კავკასიურ ენებს.
https://migration.commission.ge/index.php?article_id=162&clang=0

11 ფერეიდანი - რეგიონი ირანში, ისპაანის პროვინციაში, სადაც XVI-XVII საუკუნეებში იძულებით გადასახლებული ქართველების შთამომავლები ცხოვრობენ.

პირთა შესახებ კანონის მე-18 მუხლს ასახელებს, რომელიც სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის საბაბით, მიზანშეუწონლად მიიჩნევს პირის საქართველოში ცხოვრებას.

30 ოქტომბერს ფერეიდნელმა ქართველებმა აქცია გამართეს თბილისის იუსტიციის სახლთან და სახელმწიფოსგან თანამემამულის სტატუსისა და ბინადრობის ნებართვის მიღება მოითხოვეს.[12]

12 ფერეიდნელი ქართველებისთვის შექმნილ წინააღმდეგობებზე დამატებით შეგიძლიათ გაეცნოთ:
"სულ 200 კაცი ვართ, კარგი და წყნარი ხალხი" - ფერეიდნელებს საქართველო ბინადრობის ნებართვაზე უარით ისტუმრებს", რადიო თავისუფლება, 7.11.2023 https://www.radiotavisupleba.ge/a/ფერეიდნელებს-საქართველო-ბინადრობის-ნებართვაზე-უარით-ისტუმრებს/32674712.html
"ჩვენი ფეხით ხომ არ წავსულვართ ირანში?" — ფერეიდნელი ქართველი ბინადრობის ნებართვის მოლოდინში", ნეტგაზეთი, 30.11.2023 https://netgazeti.ge/opinion/699410/
"საქართველოში ცხოვრების უფლება აღარ გვაქვს... არ ვიცით, რა საფრთხეს წარმოვადგენთ | ფერეიდნელი ცოლ-ქმრის ამბავი", ნეტგაზეთი, 12.12.2023 https://netgazeti.ge/life/700998/

3. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებისათვის სახელმწიფო დაფინანსებით შეიძლება, ისარგებლოს მხოლოდ: საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირებმა; ასევე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებმა, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელმა პირებმა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებმა. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ჩამონათვალში არ ხვდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ბინადრობის ნებართვას ფლობენ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს იხდიან.

შესაბამისად, ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება სჭირდება, მოუწევს, საკუთარი სახსრებით სრულად დაფაროს მისი ხარჯი, რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე ათეულ ათას ლარსაც აღწევდეს (განსაკუთრებით, მკურნალობის გახანგრძლივების შემთხვევაში).

გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც ამ მომსახურების გაწევის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, შესაძლებლობების შეზღუდვა ან ჯანმრთელობის სერიოზული გაუარესება.[13] იმის გათვალისწინებით, რომ ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს სახელმწიფოს მხრიდან საერთოდ არ უფინანსდება გადაუდე-ბელი სამედიცინო მომსახურების ხარჯები, თვითდაფინანსებისათვის საკმარისი სახსრების უქონლობის შემთხვევაში, ჯეროვანი მკურნალობის გაწევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება. ეს კი, თავის მხრივ, ზემოხსენებული გამოუსწორებელი შედეგების - პაციენტის სიკვდილის, შესაძლებლობების შეზღუდვისა და ჯანმრთელობის სერიოზული გაუარესების დადგომის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.

აღნიშნული პრობლემა კარგად ჩანს საქართველოში მცხოვრები ტაილანდელი ძალადობის მსხვერპლი პირის საქმეში. 2023 წელს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე მცხოვრები ტაილანდის მოქალაქე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო (იხ. თავი 4.1). ამის გამო, მას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება და ხანგრძლივი ინტენსიური მკურნალობა დასჭირდა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული პირი, ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, მუდმივად ცხოვრობდა და საქმიანობდა საქართველოში და, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, იხდიდა ყველა გადასახადს, მან ვერ ისარგებლა თუნდაც მინიმალური სახელმწიფო დაფინანსებით გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისთვისაც კი.

13 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის „ტ1" ქვეპუნქტი.

4. რასობრივი დისკრიმინაცია

4.1. რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა

რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესწავლის მიზნით, TDI-მ, ერთი მხრივ, გააანალიზა საჯარო წყაროებით გამოქვეყნებული მონაცემები, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვის პასუხად მიღებული წერილები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიან ანგარიშში, საანგარიშო პერიოდშიც პრობლემად დარჩა „რასის“ ცნება. აღნიშნული უწყებები „რასის“ ცნებაში მოიაზრებენ: „რასას“, კანის ფერს, ენას, მოქალაქეობას, ეროვნულ და ეთნიკურ კუთვნილებას და წარმოშობას[14], რაც გამორიცხავს იმის ზუსტი აღრიცხვის შესაძლებლობას, დანაშაული ჩადენილ იქნა, კანის ფერის სიძულვილის მოტივით თუ, მაგალითად, საქართველოში ისტორიულად მოსახლე ეთნიკური ჯგუფის მიმართ ქსენოფობიური მოტივით. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოებული სტატისტიკა ხარვეზიანია და დახვეწას საჭიროებს.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის 2023 წლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის თანახმად,[15] საანგარიშო პერიოდში:

- **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** გამოძიება დაიწყო სულ 44 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც რასობრივი დისკრიმინაციის ნიშანი იკვეთებოდა. მათგან 40 ეხებოდა მხოლოდ "რასის" ნიშნით დისკრიმინაციას, 3 - რასას გენდერულ ნიშანთან ერთობლიობაში და 1 - რასას სექსუალურ ორიენტაციასთან ერთობლიობაში.

- **საქართველოს პროკურატურის** მონაცემებით, 2023 წლის განმავლობაში პროკურატურამ რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 11 პირის მიმართ (მათგან 1 პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში, რასობრივთან ერთად, გენდერული შეუწყნარებლობაც იკვეთებოდა).[16] ხსენებული კატეგორიის დანაშაულზე 1 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.[17] ამასთან, ამ კატეგორიის დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილი იქნა სულ 16 პირი.[18]

14 იქვე. გვ. 1.

15 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2023. „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში". https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf, გვ. 1.

16 იქვე. გვ. 9.

17 იქვე. გვ. 22.

18 იქვე. გვ. 13.

- **სასამართლოებმა,** რასობრივი შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების გამო, საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებულად ცნეს 10 პირი (რომელთაგან 6 საქმეზე გამოძიება საანგარიშო პერიოდში დაიწყო).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (რომელსაც უწყებრივად ექვემდებარება რასობრივი დისკრიმინაციით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება[19]) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[20] საანგარიშო პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 142-ე პრიმა (რასობრივი დისკრიმინაცია) მუხლების საფუძველზე უწყების მიერ გამოძიება არ დაწყებულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის დაქვემდებარება პრინციპულად გაუმართლებელია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარი მისიისა და დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისათვის საჭირო სპეციფიური მიდგომების ურთიერთშეუთავსებლობის გამო. კერძოდ, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები განეკუთვნება ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომლებიც საგანგებო და სენსიტიურ მიდგომას საჭიროებს, რისი სრულფასოვანი კომპეტენციაც, შეიძლება, მხოლოდ სპეციალიზებულ დანაყოფს ჰქონდეს. მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად დახურული, გაუმჭვირვალე და გასაიდუმლოებულია. ეს კი არ შეესაბამება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სპეციფიკას, ვინაიდან ამ კატეგორიის დანაშაულები ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან უნდა იქნას გამოძიებული, რაც, საგამოძიებო ორგანოს სპეციალურ კომპეტენციასთან ერთად, განსაკუთრებულ მონიტორინგსაც საჭიროებს. ამის ნაცვლად, სუს-ის მიერ ასეთი დანაშაულების გამოძიება, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს უმცირესობების გარკვეული ჯგუფებისა თუ რეგიონების უსაფრთხოების ჭრილში განხილვას და კონტროლს.[21]

საანგარიშო პერიოდში TDI სამართლებრივ დახმარებას უწევდა ტაილანდის მოქალაქესა და მის ოჯახს. აღნიშნული პირი სასტიკი ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი გახდა, რამაც მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია. აღნიშნული დანაშაულის ერთ-ერთი მოტივი, სავარაუდოდ, რასობრივი შეუწყნარებლობაც უნდა ყოფილიყო, თუმცა საგამოძიებო უწყებას გამოძიება ამ მიმართულებით არ წარუმართავს და, შესაბამისად, დანაშაულის კვალიფიკაციის დროსაც აღნიშნული მოტივი ყურადღების მიღმა დარჩა.

19 იხ. საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის“ მე-4 პუნქტი.

20 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 29 იანვრის SSG 0 24 00018729 წერილი.

21 ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) ანგარიში “უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში (კოვიდპანდემიის პირობებში და მის მიღმა), 2020-2021 (ივნისი)”, 2021, გვ. 24-26.

4.2. ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, კვლავაც პრობლემად დარჩა ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი.

როგორც ცნობილია, 2018 წლის 30 სექტემბერს მოკლეს საქართველოს მოქალაქე, 25 წლის უფლებადამცველი ვიტალი საფაროვი. საქმეში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების მიხედვით, მკვლელობის ჩადენაში იკვეთებოდა ორი პირის მონაწილეობა, თავდამსხმელების აშკარად ანტისემიტური და ქსენოფობიური ენა კი მიუთითებდა დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენაზე. ამასთანავე, ცხადი იყო მოძალადეების კავშირი ნეონაცისტურ ჯგუფებთან.[22]

მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2019 წლის 22 ივნისის განაჩენით, ბრალდებულებს მკვლელობის მოტივად მოუხსნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა, ბრალდებულები მხოლოდ ჯგუფურ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ და 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 2023 წლის 16 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამართულ ბოლო პროცესზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2023 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, დაუშვებლად ცნო წარდგენილი საკასაციო საჩივარი; შესაბამისად, ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც ბრალდებულებს მოეხსნათ ვიტალი საფაროვის მკვლელობის მოტივი - რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა.[23]

4.3. რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევები

უცხოელი სტუდენტები, TDI-ს მიერ ჩატარებულ ინტერვიუებში, საუბრობენ რასობრივი დისკრიმინაციის სხვა შემთხვევებზე, რომელიც სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სივრცეებში შეხვედრიათ მათ და მათ მეგობრებს.[24] როგორც ისინი TDI-სთან საუბარში მიუთითებენ, საქართველოში რასისტულ დამოკიდებულებას უფრო ხშირად უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან გრძნობენ, რაც აგრესიულ დამოკიდებულებაში, მზერაში, ხან კი რასისტულ კომენტარებში გამოიხატება.

უცხოელი სტუდენტებისთვის პრობლემურია საქართველოში საცხოვრებელი ბინის მოძებნა, რადგან მეპატრონეების ნაწილი საკუთარ განცხადებაშივე მიუთითებს, რომ კონკრეტული წარმოშობის ადამიანები არ დაუკავშირდნენ, გამქირავებლების ნაწილი კი მათი წარმოშობის ქვეყნის გამო მომატებულ, ზოგჯერ გაორმაგებულ ფასს ეუბნება.

22 Human Rights.ge. 2019. „უფლებადამცველი ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმის დეტალები და სამართლებრივი შეფასება“. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19945&lang=geo

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება - საქმე №259აპ-23 ქ. თბილისი კ. ა. 259აპ-23 21 სექტემბერი, 2023 წელი, https://bit.ly/4aRbHBs

24 რასობრივი დისკრიმინაციის კვლევის მიზნით, 2024 წლის იანვარ-მარტში TDI-მ ჩაატარა 2 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა და ინდივიდუალური ინტერვიუ 20-ძდე უცხო ქვეყნის მოქალაქესთან.

უცხოელი სტუდენტები ასევე საუბრობენ დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე, როდესაც სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებებში, თანამშრომლები მათ თან დაჰყვებიან და აკვირდებიან რაიმე არ მოიპარონ, როდესაც სხვა მომხმარებლების მიმართ იგივე პრაქტიკას არ მიმართავენ. სტუდენტების მითითებით, მათ გამოცდილებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სამარშუტო ტაქსები, სადაც ცარიელი ადგილებია, მათ გაჩერებებზე არ უჩერებენ.

ნიგერიული წარმოშობის სტუდენტები ასევე საუბრობენ სავარაუდო რასობრივი გამორჩევის შემთხვევებზე - როდესაც ქუჩაში, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, პოლიცია აჩერებს და სთხოვს დოკუმენტების წარდგენას. აღნიშნული დისკრიმინაციული პრაქტიკის შედეგად, უცხოელი სტუდენტები მიუთითებენ, რომ მათ უკვე ნაკლები ნდობა აქვთ სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ და საჭიროების შემთხვევაში, ხშირად ირჩევენ, არ მიმართონ პოლიციას. ერთ-ერთი სტუდენტის თქმით, პოლიციას მან და მისმა პარტნიორმა მას შემდეგაც არ მიმართეს, რაც ის ქუჩაში შევიწროების და ძალადობის მუქარის მსხვერპლი გახდა.